საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000004082692120

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **21** **01 / ივლისი / 2020 წ.**

# განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის სპეციალიზებული ა/მანქანა „GAZ C41R13“-ის ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახური“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122--ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-4 და მე- 6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული, ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის **სპეციალიზებული ა/მანქანის** (მარკა „GAZ, მოდელი C41R13“-ი, საიდენტიფიკაციო ნომერი X96C41R13L1121694, გამოშვების წელი 2020წ, რეგისტრაციის თარიღი 13/05/2020) **ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახური“-სათვის** პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით უვადოდ გადაცემა.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი